ოქმი №14

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2025 წლის 20 აგვისტოს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:15 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ს. ოდიშარია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლ. უჩანეიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზ. ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ი. ქარდავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბ. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე - ბ. ხურცია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ლ. ჯინორია.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საკრებულოს აპარატის უფროსი – ლ. თულაძე; აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 7; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ წარმოდგენილია განკარგულების პროექტები - ა(ა)იპ "სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების თაობაზე და ა.(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების თაობაზე;

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ წარმოდგენილია განკარგულებების პროექტები - სენაკის

მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების თაობაზე; ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჯიხას პირველი ქუჩის მე-5 ჩიხისათვის ,,სოხუმის ჩიხის“ სახელის მინიჭების თაობაზე“;

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის მიერ წარმოდგენილია განკარგულების პროექტი - სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასების თაობაზე“;

ასევე წარმოდგენილია დადგენილების პროექტი - ,,საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 7 აგვისტოს №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია წარმოდგენილი პროექტები წარედგინოს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 7; წინააღმდეგი–0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განსახილველად წარედგინოს საკითხები შემდეგი დღის წესრიგის პროექტის სახით:

„დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

3. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჯიხას პირველი ქუჩის მე-5 ჩიხისათვის ,,სოხუმის ჩიხის“ სახელის მინიჭების თაობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

4. სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასების თაობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ბადრი კალანდარიშვილი

5. ა(ა)იპ "სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალური კომისიის თავმჯდომარე: ინგა ქარდავა

6. ა.(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალური კომისიის თავმჯდომარე: ინგა ქარდავა

7. „საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 7 აგვისტოს №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: საბა ოდიშარია“

2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის მოწვევა, რომელიც გაიმართება სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2025 წლის 27 აგვისტოს.

3. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: საბა ოდიშარია